



## საქართველოს საკანონმდებლო სიახლეები იხელმძღვანელებით კანონმდებლობით

### მნიშვნელოვანი ცვლილებები საქართველოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში

საქართველოს პარლამენტმა 2017 წლის 8 თებერვალს მიიღო გარკვეული სახის ცვლილებები საქართველოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში, რომელიც ძალაში შედის 2017 წლის 14 მარტიდან.

ცვლილებების შესაბამისად, საკასაციო საჩივრის დასაშვებობას დაემატა ახალი საფუძვლები, კერძოდ, საკასაციო საჩივარი დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ:

- საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია;
- საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად გამოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება;
- სააპელაციო სასამართლოს საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;



- სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.



### სასამართლო გადაწყვეტილება

სააპელაციო სასამართლომ 2017 წლის 16 თებერვალს გამოაქვეყნა მის მიერ 2015 წლის 26 ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილება (საქმე №3ბ/374-15). სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ინფორმაციისათვის კომერციული საიდუმლოების სტატუსის მინიჭების წესი და ასეთი სტატუსის მქონე ინფორმაციის გაცემის ვალდებულება. სააპელაციო სასამართლომ განმარტა რა წინაპირობების დაცვაა საჭირო იმისათვის, რომ ცალკეული ინფორმაცია მიკუთვნებულ იქნას კომერციულ საიდუმლოებას და მასზე არ გავრცელდეს საჯარო ინფორმაციის სავალდებულო გაცემის წესი.

პალატა განმარტავს, რომ ინფორმაციის წარდგენისას პირი ვალდებულია მიუთითოს, რომ ეს ინფორმაცია მისი კომერციული საიდუმლოებაა. საჯარო დაწესებულება ვალდებულია 10 დღის ვადაში კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნიოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ინფორმაციის ღიაობის ვალდებულება დადგენილია კანონით. თუ ინფორმაციის წარდგენისას საჯარო დაწესებულება არ მიიჩნევს ამ ინფორმაციას კომერციულ საიდუმლოებად, იგი იღებს გადაწყვეტილებას მისი ღიაობის თაობაზე, რასაც დაუყოვნებლივ აცნობებს შესაბამის პირს.

პალატა განმარტავს, რომ ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევისათვის ის აუცილებლად უნდა შეიცავდეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნიშნებს. ერთ-ერთ არსებით საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ამ ინფორმაციის გამჟღავნებამ შესაძლებელია ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას და მხარემ დაასაბუთოს იგი. ამასთან, აუცილებელია განმცხადებლის გამოხატული ნება იმისათვის, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებულ ინფორმაციას მიენიჭოს კომერციული საიდუმლოების სტატუსი. ინფორმაციის წარდგენისას განმცხადებელი ვალდებულია მიუთითოს აღნიშნულის თაობაზე, რაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით უნდა დასრულდეს.

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:

გიორგი თავართქილაძე  
საგადასახადო და იურიდიული  
დეპარტამენტის დირექტორი  
[gtavartkiladze@deloitte.ge](mailto:gtavartkiladze@deloitte.ge)

გიორგი ხუროძე  
იურიდიული სამსახურის უფროსი  
[gkhurodze@deloitte.ge](mailto:gkhurodze@deloitte.ge)



[deloitte.ge](http://deloitte.ge)

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ [www.deloitte.com/about](http://www.deloitte.com/about).

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 244 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში [Facebook](https://www.facebook.com/deloitte), [LinkedIn](https://www.linkedin.com/company/deloitte), [Twitter](https://twitter.com/deloitte).

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიართო კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.

ლ. ასათიანის ქ. 36ა

თბილისი, 0105 საქართველო

@ 2017 შპს დელოიტი და ტუში. ყველა უფლება დაცულია.